MES 4 23 0000558033

18/05/2023

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2023 წლის 15 მაისს 14:00 საათზე**. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებული პირი შეძლებდა საბჭოს სხდომაზე ჩართვას ონლაინ.
https://us02web.zoom.us/j/2234959888
Meeting ID: 223 495 9888
Passcode: 1234

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში-საბჭო) წევრები:

შორენა ჯაფარიძე - პროფესიული განათლების ექსპერტი / საბჭოს თავმჯდომარე;
ნინო ელბაქიძე - გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროფესიული განათლების პოლიტიკის სპეციალისტი / საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნესისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი / საბჭოს წევრი;
ხათუნა ჩხარტიშვილი - სს „გუდვილის“ HR დეპარტამენტისა და სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელი / საბჭოს წევრი.
ნატალია კვაჭანტირაძე- საქართველოს ტურიზმის ასოციაციის თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
რუსუდანგიგაშვილი - ა(ა)იპ - აგრო დუოს თავმჯდომარე / საბჭოს წევრი;
ტიტე ბოლქვაძე - პროფესუილი განათლების ექსპერტი / საბჭოს წევრი;
ნინო ველთაური - სსიპ - დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს დირექტორი / საბჭოს წევრი;
მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე / საბჭოს მდივანი;
ნინო გორგოშაძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსი / საბჭოს წევრი.

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის(შემდგომში- ცენტრი)

წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნია გუგუნავა - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნათია მჭედლიძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები:

- თამარ გიორგობიანი
- ელენე კაკაბაძე
- დავით ჯინჭარაძე
- მანანა მოისწრაფიშვილი
- მარიამ აბელიანი

საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

სსიპ კოლეჯ „ბლექსი“
დირექტორი - გიორგი გოგიტიძე
ხარისხის მართვის მენეჯერი - ბიძინა კირთაძე

შპს “მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერ“
დირექტორი - ირაკლი შარაბიძე
სასწავლო პროცესის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი - ნინო ორაგველიძე
პროგრამის ხელმძღვანელი - გელა გოგიტიძე
იურისტი - ნინო კახიძე

საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA
დირექტორი - ია ერაძე
ხარისხის მართვის მენეჯერი - ნათელა ჩაჩუა

სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი
დირექტორი - ნადეჟდა მანჯავიძე
ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი - თამარ სოსანიძე

საბჭოს სხდომის დაწყების დრო - 14:05 საათი.

ქალბატონი შორენა ჯაფარიძე მიესალმა საბჭოს წევრებს, ექსპერტებს, ცენტრისა და დაწესებულებების წარმომადგენლებს. მან განცხადება გააკეთა იმასთან დაკავშირებით, რომ

სხდომის ოქმის პროექტის მომზადების მიზნით, მოხდებოდა სხდომის აუდიო ჩაწერა და აუდიოჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. დამსწრეთა სრული შემადგენლობა დაეთანხმა აღნიშნულს. რამდენადაც ფოტო და ვიდეოგადაღება ნებართვის გარეშე აკრძალულია, ცენტრის წარმომადგენელმა ითხოვა ფოტოგადაღების ნებართვა ცენტრის ვებგვერდსა და სოციალურ ქსელში გამოსაქვეყნებლად, რაზეც მიიღო დამსწრეთა თანხმობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო **დღის წესრიგი:**

1. სსიპ კოლეჯ ,,ბლექსისთვის“ საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის №177 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;
2. შპს “მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერის” ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიისთვის - SBA „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების „პიანისტ-აკომპანიატორი“ და „მუსიკის რეპეტიტორი“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, ჰქონდათ თუ არა რამე შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით. სხდომის მონაწილეებს დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ ჰქონდათ.

პირველი საკითხი: სსიპ კოლეჯ ,,ბლექსისთვის“ საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის №177 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვით აცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვით აცილება

- **არა**

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ნანი დალაქიშვილმა. მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 07 ივნისის N532031 ბრძანებით დამტკიცდა ზოგადი მოდული ,,სამოქალაქო განათლება" (3 კრედიტი), რომელიც ძალაში შევიდა 2021 წლის 01 ივნისიდან. პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტთან შესაბამისობაში მოყვანისა და მასში განახლებული მოდულის ,,სამოქალაქო განათლება" ჩანაცვლების მიზნით, სსიპ კოლეჯის ,,ბლექსი" დირექტორის 2023 წლის 04 მაისის №500211 ბრძანებით ცვლილება შევიდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის ,,მშენებლობის წარმოება" საფუძველზე შემუშავებული დუალური პროგრამის ,,ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟი'' დამტკიცების შესახებ სსიპ პროფესიული კოლეჯის ,,ბლექსი“ 2019 წლის 01 აგვისტოს №01-02/154 ბრძანებაში და დუალური პროგრამა - ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით, ცვლილების აქტი და შეცვლილი პროგრამა კოლეჯმა წარმოადგინა ცენტრში საბჭოს წინაშე შუამდგომლობის თხოვნით.
იმის გათვალისწინებით, რომ შეცვლილია პროგრამის მოცულობა, ნაცვლად 71 კრედიტისა გახდა 72 კრედიტი (არაქართულენოვანთათვის - 87 კრედიტი), ცვლილება შესატანია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის №177 - ე გადაწყვეტილებაში. როგორც დაწესებულება აღნიშნავს, განაცხადა ნანი დალაქიშვილმა, შეცვლილი პროგრამა ახალი მიღების მიზნებისთვის იქნება გამოყენებული, 2022-2023 წელს ამ პროგრამაზე მიღება არ განხორციელებულა, 2021 წელს ჩარიცხული სტუდენტები სწავლას დაასრულებენ ძველი პროგრამით.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაედასტურებინა აღნიშნული ინფორმაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა ყოველივე ზემოაღნიშნული.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ კოლეჯ ,,ბლექსისთვის“ საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის №177 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების შუამდგომლობის, ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,ცვლილება განხორციელდეს სსიპ კოლეჯ ,,ბლექსისთვის“ საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 16 სექტემბრის №177 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების პირველი პუნქტით განსაზღვრული დანართის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით **(დანართი 1).**

მეორე საკითხი: შპს “მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერის” ავტორიზაციის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

ნანი დალაქიშვილმა საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებს წარუდგინა სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მეზღვაურთა დეპარტამენტის უფროსის წერილი საბჭოს წევრის ნინო გორგოშაძის მხრიდან განსახილველ საკითხთან დაკავშირებით შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის არსებობის თაობაზე. წერილის ტექსტი: „როგორც თქვენთვის ცნობილი პროფესიული ავტორიზაციის საბჭოს წევრი არის საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ყოფილი თანამშრომელი ნინო გორგოშაძე, რომელიც ეხლა მუშაობს შპს „ოშენგოლდ ბათუმი“ (ს/ნ: 445694384) (Oceangold Batumi) დირექტორის პოზიციაზე. აღნიშნული კომპანიის პარტნიორი არის საბერძნეთის მოქალაქე ფიზიკური პირი გ. დ., რომელიც ფლობს კომპანიაში 100% წილს, ასევე პიროვნება დაკავშირებული არის ბერძნულ კომპანია Oceangold-თან. აღნიშნული ბერძნულ კომპანიას სხვადასხვა ქვეყნებში გააჩნიათ წარმომადგენლობა მათ შორის საქართველოშიც, კერძოდ შპს „ოშენგოლდ ბათუმი“.

შპს „ოშენგოლდ ბათუმი“-ს საქმიანობის საგანია მომსახურეობა გემთმფლობელ კომპანიებზე, მეზღვაურების დასაქმება და შესაბამისი პროცედურების განხორციელება. ამასთანავე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სადამფუძნებლო შეთანხმებაში აღნიშნულია, რომ საზოგადოება ახორციელებს მეზღვაურების დასაქმებას იმ გემებზე, რომლებსაც მართავენ საზოგადოების პარტნიორი გემთმფლობელი კომპანიები. სადამფუძნებლო შეთანხმება რომელიც შედგენილია 2023 წლის 7 აპრილს თარჯიმნის როლი შეთავსებული აქვს შპს „მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერის“ იურისტს ნ. კ-ს.

შპს „მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერის“-ა და ბერძნული კომპანია Oceangold-ს შორის არსებობს მჭიდრო პარტნიორული კავშირები. არსებული ვითარება ცხადყოფს, რომ მეზღვაურები, რომლებიც დასაქმებულია აღნიშნულ კომპანიაში, მეზღვაურისთვის სავალდებულო წვრთნის სერტიფიცირებას გადის შპს „მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერის“- ში. ასევე სამუშაო შეხვედრებით მასპინძლობენ Oceangold Tankers - ის სუპერინტენდანტებს და თანამშრომლობის ფარგლებში, მათი კომპანიის მეზღვაურები სარგებლობენ სპეციალური ფასდაკლებით ყველა კონვენციურ და არაკონვენციურ კურსებზე.

ასევე მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ისიც, რომ შპს „მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერის“ დირექტორი და 50% წილის მფლობელი თ. მ. არის Oceangold Tankers-ს კომპანიის გემის კაპიტანი, რომელიც წლებია მუშაობს აღნიშნულ კომპანიაში.

ზემოთ აღნიშნულიდან და საფუძვლიანი ეჭვიდან გამომდინარე ვფიქრობთ რომ ავტორიზაციის საბჭოს წევრი ნინო გორგოშაძის ინტერსთა კონფლიქტის არსებობა იკვეთება“.

ნანი, დალაქიშვილის განმარტებით, ამ წერილიდან, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 92-ე მუხლით (ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობის დაუშვებლობა) განსაზღვრული ინტერესთა კონფლიქტის ცალსახა ნიშნები არ ჩანს, თუმცა სასურველია საბჭოს წევრმა, ნინო გორგოშაძემ თვითონ განაცხადოს ამის შესახებ.

საბჭოს წევრმა ნინო გორგოშაძემ განაცხადა, რომ მისი მხრიდან არ არსებობს ინტერესთა კონფლიქტის საფუძველი, თუმცა რამდენადაც საკითხი დაისვა საბჭოზე, აცხადებს თვით აცილებას საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობაზე.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხებთან მიმართებით თვით აცილება და/ან აცილება.
ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვით აცილება

- **დიახ**

ამის შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე თამარ გიორგობიანი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, შპს „მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერის“ მიერ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსის მოპოვების მიზნით წარმოდგენილი საავტორიზაციო განაცხადის საფუძველზე, „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის 2023 წლის 07 მარტის N262294 ბრძანების საფუძველზე შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით - თამარ გიორგობიანი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე), ელენე კაკაბაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (წევრი) და დავით ჯინჭარაძე - დარგის ექსპერტი (წევრი) დაევალა 2023 წლის 15, 16 და 17 მარტს (თამარ გიორგობიანი და ელენე კაკაბაძე - 15,16,17 მარტს დავით ჯინჭარაძე - 17 მარტს), ვიზიტის განხორციელება ქალაქ ბათუმში, შპს „მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერში“ (ჯავახიშვილის ქ., N4ა). დაწესებულებაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოხსენებულ ბრძანებას, შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაციასა და დაათვალიერა ორგანიზაციის ვებგვერდი, რის საფუძველზეც შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომელიც გასაცნობად გადაეგზავნა დაწესებულებას. ვიზიტმა ჩაიარა კონსტრუქციულ, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ხუთივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით დაწესებულების პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაესაუბრა როგორც ადმინისტრაციულ პერსონალსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებს, ასევე პარტნიორი კომპანიის წარმომადგენლებს.

გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება:
II სტანდარტი
ინდიკატორი 2.4.1.5 არ არის დაკმაყოფილებული. დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო

საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი მემორანდუმით/ხელშეკრულებით, მაგრამ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიასთან გაფორმებული მემორანდუმი ძალაშია მხოლოდ 2023 წლის 31 დეკემბრამდე.

რეკომენდაციების შეჯამება: სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია

V სტანდარტი

ინდიკატორი 5.1.2.1. მეტწილადაა დაკმაყოფილებული. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ფართში არ არის დაცული უსაფრთხოების ზომები, შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ კოლეჯს სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფასთან მიმართებით შემუშავებული აქვს ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის გეგმა, რეკომენდებულია, დაწესებულებამ დაიცვას აღნიშნული გეგმით დადგენილი ვადები.

ინდიკატორი 5.2.2.2 მეტწილადაა დაკმაყოფილებული. დაწესებულების მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, თუმცა, ამ ეტაპზე არ გამოიყენება ელექტრონული საქმის წარმოებისთვის, შესაბამისად, იმის გათვალისწინებით, რომ კოლეჯს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემით (eFlow) უზრუნველყოფასთან მიმართებით შემუშავებული აქვს ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის გეგმა, რეკომენდებულია, დაწესებულებამ დაიცვას აღნიშნული გეგმით დადგენილი ვადები.

განმავითარებელი რეკომენდაცია

II სტანდარტი

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა. უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, თუმცა, რეკომენდებულია, პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ კომპანიებთან გაფორმებულ მემორანდუმებს/ხელშეკრულებებს თან ახლდეს მატერიალური რესურსის ჩამონათვალი, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, მემორანდუმის/ხელშეკრულების გაფორმებას წინ უძღოდეს შემოწმების ოქმი, რომელსაც ხელს მოაწერენ მემორანდუმის/ხელშეკრულების მხარეები და რომლითაც დადასტურდება პარტნიორი ორგანიზაციების მფლობელობაში არსებული რესურსების ვარგისიანობა. ასევე, რეკომენდებულია, მოდულის ფარგლებში „გემის ტექნიკური მომსახურება“, კოლეჯმა შეიმუშაოს ნახარჯი მასალების ჟურნალის ფორმა. გარდა ამისა, რეკომენდებულია, მოდულების, „გემზე უსაფრთხოების უზრუნველყოფა“, „გემის ტექნიკური მომსახურება“, „სატვირთო ოპერაციებში მონაწილეობა“, „სამღებრო საქმე გემზე“ პრაქტიკული უნარ-ჩვევების უფრო უკეთ გამომუშავებისა და ხარისხიანად განხორციელების მიზნით, გემები არ იყოს სასეირნო დანიშნულების და სწავლება წარიმართოს AKHTIAR (IMO: 8729107; GT 1178) გემზე, რომელიც სამაშველო დანიშნულებისაა.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს უდასტურდება პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია, თუმცა, პროგრამის სპეციფიკისა და სწავლის შედეგების უკეთ მიღწევის მიზნით, რეკომენდებულია, დაწესებულებამ პრაქტიკული კომპონენტის მოდულის დაწყებამდე, გონივრულ ვადაში უზრუნველყოს პრაქტიკული სწავლების განმახორციელებელი პირებთან შეხვედრა, მოდულის სპეციფიკის გაცნობა და საჭიროების შემთხვევაში გადამზადება.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების

ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, თუმცა, საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების კონსოლიდირებული ვერსიებით პროფესიული სტუდენტების უზრუნველყოფის მიზნით, რეკომენდებულია, დაწესებულებამ ხელშეკრულება გააფორმოს საკანონმდებლო მაცნესთან.

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯის მისიით განსაზღვრული იყო დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან. მისიიდან გამომდინარე განსაზღვრული იყო დაწესებულების ხედვა და ღირებულებები. კოლეჯი განსაზღვრავდა სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობდა შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას. ასევე დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავდა მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავდა განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს. მისი თქმით, პსდ-ში დადგენილია სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის და შეფასების მეთოდოლოგია, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. დაწესებულებებსა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა. აღსანიშნავია, რომ კოლეჯის შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილი იყო კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიები. დაწესებულება მუდმივად მიაწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან / ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები :

5.1.1.1 ექსპერტის განცხადებით, შპს „მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერს“ იჯარის ხელშეკრულება გაფორმებული ჰქონდა 5 ფიზიკურ და იურიდიულ პირთან და სარგებლობის უფლებით ფლობდა 970,77 კვ.მ ფართს მისამართზე: ქ. ბათუმის, ჯავახიშვილის ქ. N4ა . იჯარის ხელშეკრულების ვადა აღემატებოდა ავტორიზაციის ვადას. შენობა კეთილმოწყობილი იყო თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად, უზრუნველყოფილი იყო ცენტრალური გათბობით, ხელოვნური და ბუნებრივი განათებით, სველი წერტილებით, მათ შორის ადაპტირებული შშმ პირებზე, უწყვეტი ინტერნეტით. კოლეჯში მოწყობილი იყო კომპიუტერული კლასები (B გარემო), რომლებიც უზრუნველყოფილი იყო ინტერნეტში ჩართული კომპიუტერებითა და საჭირო პროგრამული უზრუნველყოფით. დაწესებულების შენობა-ნაგებობაში განთავსებული იყო რამდენიმე A, A/B და A/C სასწავლო გარემო, ბიბლიოთეკა, რომელიც გამიჯნული იყო სხვა სივრცეებისგან და პროფესიულ სტუდენტებს/პროფესიული განათლების მასწავლებლებს შეუძლიათ ისარგებლონ აღნიშნული სივრცით. სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილი იყო სწავლის პროცესისთვის საჭირო ყველა რესურსით, როგორიცაა პროფესიული სტუდენტისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მაგიდები და სკამები, დაფა, ქსელში ჩართული კომპიუტერები, პროექტორები. ასევე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, სასწავლო აუდიტორიები და პრაქტიკული კომპონენტის აუდიტორიები აღჭურვილი იყო პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსითა და თანამედროვე სიმულატორებით. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარდგენილი მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. კოლეჯის მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. დაწესებულების შენობა-ნაგებობის ყველა სივრცე უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით. დაწესებულებამ წარმოადგინა სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ხარჯების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას. შემუშავებული იყო კითხვარები, რომლის შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდებოდა საჭიროებების იდენტიფიცირება. დაწესებულების შენობა-ნაგებობაში მოწყობილი იყო გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდებოდა წყლით, ჰქონდა უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებული იყო, უზრუნველყოფდა პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომი იყო ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის. კოლეჯს შემუშავებული ჰქონდა ,,საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა", რომელიც შეთანხმებული იყო სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან აღნიშნული გეგმის თანახმად, კოლეჯში შექმნილია საგანგებო შტაბი, რომლის წევრები არიან დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლები. მისი თქმით, დაწესებულება უზრუნველყოფილი იყო სასწავლო საქმიანობისთვის საჭირო ინფორმაციული ტექნოლოგიებით, ყველა სასწავლო აუდიტორია უზრუნველყოფილი იყო კომპიუტერითა და პროექტორით, სათანადოდ აღჭურვილი იყო კომპიუტერული კლასები პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, ბიბლიოთეკა უზრუნველყოფილი იყო ასევე კომპიუტერული ტექნიკით, დაწესებულებას თავის სპეციფიკიდან გამომდინარე აქვს სპეციალური სიმულატორები შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით. ადმინისტრაციის ოთახები აღჭურვილია ქსელში ჩართული კომპიუტერებით/ ლეპტოპებით. დაწესებულებაში შექმნილი IT ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფდა ინტერნეტის უწყვეტ მიწოდებას კოლეჯის მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის ბიბლიოთეკასა და სასწავლო აუდიტორიებში. კოლეჯის მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომი იყო ქსელური ან უსადენო ინტერნეტი (wi-fi). დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებდა საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებდა ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯში სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელი იყო კოლეჯის დირექტორი, პროცესის ადმინისტრირებას ახდენდა ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც ადმინისტრირებას უწევდა დაგეგმარების პროცესში ადმინისტრაციული პერსონალის და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობას. სტრატეგიული გეგმის ფარგლებში გამოიყოფა პრიორიტეტული აქტივობები, რომელიც აისახება დაწესებულების მომდევნო წლის ბიუჯეტში. ამ ეტაპზე დაწესებულება იყო მოქმედი კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებდა სასერტიფიკატო კურსებს და ჰქონდა საკუთარი შემოსავალი, საწყის ეტაპზე კოლეჯის მიერ დაგეგმილი აქტივობები უზრუნველყოფილი იყო შპს-ს შემოსავლებით. ავტორიზაციის მოპოვებისა და პროგრამაზე პროფესიული სტუდენტების მიღების შემდეგ კი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელებას კოლეჯი სხვა შემოსავლებთან ერთად უზრუნველყოფდა ვაუჩერული დაფინანსებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია

ექსპერტის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების მიზნით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნებოდა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც

შედიოდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი, არანაკლებ 2 მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი, დამსაქმებელი /პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელი), სამუშაო ჯგუფს ხელმძღვანელობს პროგრამის ხელმძღვანელი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხდებოდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე. შპს „მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერი“ დაფუძნდა 2021 წლის 23 თებერვალს, მისი ძირითადი საქმიანობა განისაზღვრა მეზღვაურთა საწვრთნელი და სერტიფიცირების პროგრამების განხორციელებით. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავდა დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ, ამჟამად აღიარებული იყო 34 კონვენციური კურსის სასწავლო/საწვრთნელი პროგრამა. გარდა ამისა, გუნდის მიერ შეიმუშავდა 20 არაკონვენციური კურსი, რომელიც მიმართული იყო ქართველი მეზღვაურების საერთაშორისო დამსაქმებლების მოთხოვნათა შესაბამისად კვალიფიკაციის ამაღლებისაკენ და ხელს უწყობდა ქართველი მეზღვაურების კონკურენტუნარიანობის ამაღლებას საერთაშორისო შრომით ბაზარზე. გასული წლის განმავლობაში შპს „მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერში“ გახორციელებულ 490 საწვრთნელ კურსს დაესწრო 1983 მსმენელი/მეზღვაური. დაწესებულება თანამშრომლობდა ისეთ წამყვან კომპანიებთან, როგორებიცაა ნოვიკონტასი - მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ინოვაციური და მოწინავე კომპანია მეზღვაურთა გადამზადებისა და სერტიფიცირების მიმართულებით და ვარცილა - Wärtsilä, რომელიც იყო გლობალური ლიდერი ჭკვიან ტექნოლოგიებსა და ენერგეტიკულ ბაზრებზე.

ექსპერტის განცხადებით, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფდა პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულებაში არსებობდა A, B, C, A/B და A/C ტიპის სასწავლო გარემო. დასაშვები იყო სხვადასხვა პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნებისათვის ერთი და იმავე სივრცის გამოყენება, თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოსა და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში. საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული კომპონენტის შემცველი მოდულები ითვალისწინებდნენ პროფესიული სტუდენტის დატვირთვას პრაქტიკის ობიექტზე, დაწესებულებასა და პრაქტიკის ობიექტებს შორის გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულების/მემორანდუმების საფუძველზე. ყველა ტიპის სასწავლო გარემოში სწავლების განხორციელება შესაძლებელი იყო ორ ცვლაში, დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. შესაბამისად, ერთ სასწავლო გარემოში შესაძლებელი იყო იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეულის საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს. მისი თქმით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია“ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა დაეფუძნა შრომის ბაზრის მოთხოვნებს, რომლისთვისაც შეფასდა კოლეჯის რესურსები და დადგინდა დაერთო ქვოტა 192 პროფესიული სტუდენტი. 192 პროფესიულ სტუდენტს კოლეჯი მიიღებდა 2 წელს, ანუ თითოეულ წელს გამოცხადდებოდა 96 ვაკანტური ადგილი აპლიკანტებისთვის. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა ქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის გაწერილი იყო 16 თვეზე, არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის - 28 თვეზე.

ექსპერტის განცხადებით, პროგრამა ითვალისწინებდა საწარმოო პრაქტიკას - გემბანის რიგითი მეზღვაურისთვის, მოდულის ხანგრძლივობა 25 კვირა (დაახლოებით 6 თვე), ამ პერიოდში პროფესიული სტუდენტი სრულად იმყოფებოდა პრაქტიკის ობიექტზე ანუ ამ პერიოდში

აღნიშნულ პროფესიული სტუდენტები კოლეჯის ინფრასტრუქტურით არ ისარგებლებდნენ, ასევე ადამიანური რესურსი სრულად იქნებოდა უზრუნველყოფილი პრაქტიკის განმახორციელებელი დაწესებულების მიერ. ერთ ჯგუფში განისაზღვრებოდა 24 პროფესიული სტუდენტი, რომელიც კონკრეტული მოდულის თავისებურებისა და მოდულით განსაზღვრული დამატებითი მოთხოვნის გათვალისწინებით საჭიროების შემთხვევაში იყოფოდა ქვეჯგუფებად. მისი თქმით, ყოველ მიღებაზე დაკომპლექტდებოდა მაქსიმუმ 4 ჯგუფი. პროგრამის თავისებურების გათვალისწინებით საჭირო რესურსები თითო ნაკადის მიღებისთვის (4 ჯგუფი, 96 პროფესიული სტუდენტი), სწავლება განხორციელდებოდა A, B, C და კომბინირებულ გარემოში (A/B და A/C) კვირეული 60 საათიანი გამტარობისა და პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის განსაზღვრული მაქსიმუმ 40 საათიანი დატვირთვით ორ ან შეჭრილ ცვლაში. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფდა პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავდა 6 ზოგად მოდულს 17 კრედიტის და 9 პროფესიულ მოდულს 75 კრედიტის (სულ - 92) ოდენობით. პროგრამა არ მოიცავდა არჩევით მოდულებს. სსსმ პირებს წვდომა ჰქონდათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იყო სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს, დაეზუსტებინა თუ რომელი მოდულის რა სწავლის შედეგები ჰქონდა დაწესებულებას გატანილი სხვა ორგანიზაციაში და რამდენად შესაძლებელი იყო აღნიშნული სწავლის შედეგების მიღწევა.

დარგის ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებას გააჩნდა უმაღლესი, თანამედროვე სახის მატერიალური რესურსი, ასევე, აღსანიშნავი იყო, რომ კოლეჯს ჰყავდა პროფესიონალი განმახორციელებლები, რომლებიც იყვნენ უკვე მოქმედი მეზღვაურები. რაც შეეხება 2.4.1.5 ინდიკატორს, რომელიც ეხებოდა დაწესებულების თანამშრომლობას პრაქტიკის კომპონენტის განხორციელებას პარტნიორ საწარმო კომპანიებთან, აქ საუბარი იყო საზღვაო უსაფრთხოების მოდულთან, სადაც თეორიულ ასპექტებს ასწავლიდა აღნიშნული სასწავლებელი თეორიულად, ხოლო პრაქტიკის კომპონენტისთვის საჭირო იყო შესაბამისი მატერიალური რესურსი, რომელიც სასწავლებელს არ გააჩნდა. ასევე, მისი თქმით, დაწესებულებას არ ჰქონდა პრაქტიკისთვის შესაბამისი აუზი , ხანძარსაწინააღმდეგო ტრენაჟორი, აქედან გამომდინარე კოლეჯმა გააფორმა სსიპ- სასწავლო უნივერსიტეტ - ბათუმის საზღვაო აკადემიასთან ერთ წლიანი ხელშეკრულება მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით 2023 წლის 31 დეკემბრამდე. მისი განცხადებით, ექსპერტებმა მოითხოვეს, რომ აღნიშნული ხელშეკრულება უნდა იყოს დადებული იმ დრომდე, რა დრომდეც ავტორიზაციის ვადაა განსაზღვრული, ვინაიდან არსებობდა რისკი, რომ დაწესებულებამ ან სხვა სასწავლებელმა ვეღარ მოიპოვოს სხვა პარტნიორი კომპანია, რომელიც დაეხმარებოდა აღნიშნული უნარ-ჩვევების ათვისებაში და დაეხმარებოდა სასწავლო პრაქტიკის კომპონენტიდან გამომდინარე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელის განცხადებით, მათ უკვე ორი წელია, რაც დაიწყეს აღნიშნული დარგის მიმართულებით განვითარება. დაწესებულება იყო რამდენიმე გერმანული კომპანიის ექსკლუზიური პარტნიორი, რომლებიც საცდელ პლატფორმას უნაწილებდნენ დაწესებულებას. ასევე, დაწესებულებაში პირველად საქართველოს ისტორიაში ჩამოდიან უცხო ქვეყნის მოქალაქე მეზღვაურები და გადიან გადამზადებას სხვადასხვა სიმულატორებზე.

დღესდღეობით მათ ჰქონდა 50-მდე აღიარებული სასერტიფიკატო კურსი და ონლაინ მიმართულებით შესაძლებელი იყო 200-ზე მეტი წვრთნის ჩატარება. რაც შეეხება პარტნიორობას სხვადასხვა დაწესებულებებთან, იმის გარდა რაც მათ წარმოადგინეს კოლეჯთან მიმართებაში, ასევე ჰქონდათ 8 უცხოურ კომპანიასთან მემორანდუმი ხელშეკრულება გაფორმებული, სადაც ასევე ფიქსირდებოდა კურსდამთავრებულების დასაქმება. კოლეჯს ჰყავდა 50 მდე მოქმედი მეზღვაური, რომლებიც იყვნენ ახალგაზრდა კაპიტნები, უფროსი თანაშემწეები და უფროსი მექანიკოსები. რაც შეეხება სწავლა გემბანის რიგითი მეზღვაურისთვის, იყო 18 თვიანი, აქედან 12 თვე იყო თეორიული და 6 თვე პრაქტიკული. მისი თქმით, დაწესებულების პარტნიორი საზღვაო აკადემია იყო სახელმწიფო დაწესებულება, აქედან გამომდინარე საჯარო სამართლის იურიდიულ პირს არ შეუძლია 1 წელზე მეტი ვადით დადოს ხელშეკრულება, გამონაკლისია ისეთი შემთხვევები, რომელიც სამინისტროსთან თანხმდება, შესაბამისად კოლეჯმა გააფორმა ერთ წლიანი ხელშეკრულება და ყოველი წლის დეკემბერის თვეში ხდება კიდევ ერთი წლით განახლება. მისი განცხადებით, გემთან მიმართებაში, რაც ეხებოდა პრაქტიკული უნარების აღჭურვილობას მაქსიმალურად იქნა შერჩეული ის სამი მცურავი საშუალება, სადაც მაქსიმალურად შეიძლებოდა პროფესიულ სტუდენტებს შეეძინათ პრაქტიკული უნარები. კოლეჯის მიერ შერჩეული იქნა სამი გემი, აქედან „ახტიარი“ იყო ერთ ერთი ყველაზე დიდი მცურავი საშუალება, რომელსაც ჰქონდა საკლასიფიკაციო ორგანიზაციის მიერ აღიარება და ასევე, საქართველოს დროშა, რაც იმას ნიშნავს, რომ გემი შეესაბამება საერთაშორისო მოთხოვნებს, ასევე, როდესაც საერთაშორისო საკლასიფიკაციო ორგანიზაციების „არიაქსის“ წევრის საზღვაო რეგისტრის მიერ არის აღიარებული გემი, ეს იმას ნიშნავს, რომ გემი ყველა საჭირო რესურსით აღჭურვილია. ხელშეკრულებაში დეტალურად იყო გაწერილი თუ რომელი მოდულიდან, რა პრაქტიკული უნარები უნდა შეისწავლონ პროფესიულმა სტუდენტებმა. დაწესებულებამ აიღო სხვადასხვა გემები იმიტომ, რომ სტუდენტებისთვის უფრო საინტერესო ყიფილიყო და უფრო მრავალფეროვანი სხვადასხვა პრაქტიკული უნარების გავლა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები განხილულ საკითხებთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, ტიტე ბოლქვაძემ, მიმართა კითხვით დარგის ექსპერტს, იყო თუ არა შესაძლებელი საზღვაო უსაფრთხოების მოდულის სხვა პრაქტიკის ობიექტზე განხორციელება და შესაძლებელი იყო თუ არა აღნიშნული გემის გარდა ყოფილიყო სხვა ტიპის გემი, სადაც მოხდებოდა პრაქტიკის გავლა.

დარგის ექსპერტის განმარტებით, უსაფრთხოების მოდულის განხორციელებისას მთავარ პრობლემას წარმოადგენდა საცურაო აუზო, რომელიც დაწესებულებას არ გააჩნია. ამიტომ კოლეჯმა ხელშეკრულება გააფორმა სხვა სასწავლო დაწესებულებასთან - საზღვაო აკადემიასთან, თუმცა ამ ხელშეკრულების ხანგრძლივობა ვერ აკმაყოფილებდა ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებს, ამიტომ, დამატებით გააფორმეს ხელშეკრულება სხვა უნივერსიტეტთან, კერძოდ, შპს ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტთან, რომელიც ასევე ახორციელებს აღნიშნულ პროგრამას და აქვს შესაბამისი აუზი და აღჭურვილობა, თუმცა ამ ხელშეკრულების გაფორმება მოხდა ვიზიტის შემდეგ, ამიტომ ექსპერტებმა ვერ განიხილეს. რაც შეეხება პრაქტიკის გემს, აღნიშნული გემი ასრულებდა ბუქსირის როლს, რომლის დანიშნულება იყო ძებნა, გადარჩენასთან დაკავშირებით. მისი თქმით, გემთმფლობელი იყო ყაზახეთის ეკოლოგიის სამინისტრო, მაგრამ საქართველოს კომპანიას შპს „ ელ- ემ-ენეტეს“ ბერბოუთ ჩარტერში ჰყავდა აღნიშნული გემი აყვანილი, ეს იმას ნიშნავდა, რომ თავიდან ბოლომდე მენეჯმენტის ოპერირებას ახორციელებდა ქართული კომპანია.

საბჭოს წევრმა ტიტე ბოლქვაძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, თუ ჰქონდათ მომავალში დაგეგმილი სხვა პროგრამების დამატება.

დაწესებულების წარმომადგენელის განცხადებით, კოლეჯი სამომავლოდ გეგმავს უფრო საზღვაო მიმართულებით განვითარებას. მისი თქმით, ძირითადი ყურადღება გამახვილებული ჰქონდათ ხარისხზე, რომ გაიმართოს გემბანის რიგითის პროფესიული მიმართულება. 2024-2025 წლებში დაწესებულება ფიქრობს, რომ განავითარონ სხვა ინფრასტრუქტურები, ე.წ ვორქშოპები.

საბჭოს წევრმა, ნინო ელბაქიძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით, რამდენად მაღალი იყო ახალგაზრდების დაინტერესება აღნიშნული პროგრამით და საიდან ჰქონდათ ეს ინფორმაცია.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, რა თქმა უნდა კოლეჯს ჰქონდა ახალგაზრდების დაინტერესებასთან დაკავშირებით სტატისტიკა და დაახლოებით 700- 800 % იყო მოთხოვნა საზღვაო განათლების მიღებაზე. ეს იმას ნიშნავდა, რომ ერთ ვაკანტურ ადგილზე 7-8 განაცხადი მოდიოდა. მისი თქმით, დღევანდელ დღეს ბათუმში არსებული დაახლოებით 40-მდე საკრუიზო კომპანიებს შესაძლებელი იყო 500-დან - 1000-მდე ჰქონოდათ რიგითების ვაკანსია, შესაბამისად სტატისტიკა და მოთხოვნა ძალიან მაღალია ქართველ მეზღვაურებზე და რიგითებზე.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, დამატებითი კითხვები ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრებს. საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, საბჭო გადაწყვეტილების მიღებამდე მხედველობაში იღებს საავტორიზაციო დოკუმენტაციას, ექსპერტთა დასკვნას, ზეპირი მოსმენის შედეგად მიღებულ ინფორმაციას და ასევე, დაწესებულების მიერ წარდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭომ იმსჯელა დასკვნაში დაფიქსირებული ხარვეზის შესახებ და ჩათვალა, რომ ხარვეზს, შეიძლებოდა სხვა კვალიფიკაცია მისცემოდა და მეტწილ შესაბამისობაში გაგვეყვანა. ამ გადაწყვეტილების მიღებისას საბჭომ გაითვალისწინა დაწესებულების მიერ წარმომადგენილი არგუმენტირებული პოზიცია, ასევე ის, რომ ავტორიზაციის სტანდარტის ინდიკატორი 2.4.1.5. „ პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/ თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით“ ფორმალურად დაკმაყოფილებულია. რაც შეეხება ხელშეკრულების ვადას სსიპ-ებთან მიმართებაში აღნიშნული პრაქტიკა ნამდვილად ასებობს. ამ შემთხვევაში საბჭო რისკის ფაქტორს ნაკლებად ხედავს. საბჭომ მიმართა ცენტრს შუამდგომლობით, რომ დაინიშნოს მონიტორინგი 2.4 კომპონენტში და მე-5 სტანდარტის 5.1. და 5.2. კომპონენტებში დოკუმენტების გამოთხოვით. მან აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ახალი ხელშეკრულება, რომელიც არგუმენტირებულ პოზიციას მოაყოლა დაწესებულებამ, ვერ იქნებოდა გათვალისწინებული, ვინაიდან ვიზიტის შემდგომ შექმნილ დოკუმენტს წარმოადგენს. ზოგადად, ხელშეკრულებაში მკაფიოდ უნდა იყოს აღნიშნული რომელი მოდულის რომელი სწავლის შედეგები იქნება განხორციელებული ამ ხელშეკრულების თანახმად, რამდენი სტუდენტი, რა მატერიალური რესურსი იქნება და ა. შ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს “მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერის” ავტორიზაციის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხი განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის,მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 45-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 46-ე მუხლის პირველი, მე-6 და მე-7 პუნქტების შესაბამისად,შპს “მერიდიან მერითაიმ თრეინინგ სენთერს“(ს/კ: 445593705) 6 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების/კოლეჯის სტატუსი **(დანართი 2).**

საბჭო შუამდგომლობით მიმართავს ცენტრს, ჩაინიშნოს მონიტორინგი 2.4., 5.1. და 5.2. კომპონენტებში, მონიტორინგის ფორმა - დოკუმენტაციის გამოთხოვა და ცენტრის მიერ შესწავლა. მონიტორინგის თარიღი 2023 წლის 15 ივნისი.

მესამე საკითხი: შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიისთვის - SBA „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვით აცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვით აცილება

- **დიახ**

საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობაზე აცილება განაცხადეს საბჭოს წევრებმა ტიტე ბოლქვაძემ და ხათუნა ჩხარტიშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს,

იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ელენე კაკაბაძე მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 29 მარტის N 352675 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: ელენე კაკაბაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი (თავმჯდომარე); მანანა მოისწრაფიშვილი - დარგის ექსპერტი (წევრი).
ექსპერტთა ჯგუფს დაევალა მიმდინარე წლის 10 აპრილს „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით ვიზიტის განხორციელება შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA -ში (ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18/22). ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA -ს მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2023 წლის 8 მარტს წარმოდგენილი განაცხადი თანდართული დოკუმენტაციით „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ. ვიზიტი წარიმართა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგით მშვიდ, საქმიან და კეთილგანწყობილ ვითარებაში. დოკუმენტაციის შესწავლის, ადმინისტრაციასთან და პერსონალთან გასაუბრების, მატერიალური რესურსის და პრაქტიკის ობიექტის ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე შედგა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა.

ექსპერტმა დასაწყისშივე აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ შესახებ ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირებულა და არც რეკომენდაციები გაცემულა.

საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებისა და სტუდენტებისთვის მეტი შესაძლებლობის შეთავაზების მიზნით აქტიურად თანამშრომლობს დარგობრივ ბიზნეს ასოციაციებთან და გაერთიანებებთან. ამჯერად „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება:

- CoSHO შრომის უსაფრთხოების ორგანიზაციების კონფედერაციასთან;
- SafCo - ჯანმრთელობის დაცვისა და შრომის უსაფრთხოების კომპანიასთან;
- ა(ა)იპ საქართველოს სახანძრო პრევენციის ასოციაციასთან.

ა(ა)იპ საქართველოს სახანძრო პრევენციის ასოციაციასთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, აკადემიის სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ დიპლომთან ერთად მიიღონ სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების შესახებ, ეკონომიკის სამინისტროს მიერ აკრედიტებული პროგრამის სერტიფიკატი, რაც დამატებითი შესაძლებლობაა, იმისთვის რომ აკადემიის სტუდენტები იყვნენ შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით და შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს სენატის 2023 წლის 09 თებერვლის N01 საოქმო გადაწყვეტილების შესწავლის შედეგად დასტურდებოდა, რომ პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა გამომდინარეობდა ქვეყნის მასშტაბით პროფესიული კადრების საჭიროებიდან, დაწესებულების წარმომადგენელთა ინფორმაციით, კოლეჯი მუდმივ კომუნიკაციაში იყო დამსაქმებლებთან და ასევე, მათ აქვთ შრომის უსაფრთხოების მიმართულებით სწავლების გამოცდილებაც. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" განხორციელება შესაბამისობაში იყო კოლეჯის მისიასთან, რომელშიც გაცხადებული იყო, რომ იგი განვითარებაზე ორიენტირებული დაწესებულებაა, რომელიც ზრუნავს სამეწარმეო, ასევე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ცოდნით და უნარებით აღჭურვილი პროფესიონალების განათლებაზე და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან, რომლის პირველი მიზნის მიხედვით კოლეჯი საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრს გააფართოებს მოთხოვნად სწავლის სფეროებში. აღნიშნული მიზნის შესაბამისად კოლეჯის 2022/2023 წლის სამოქმედო გეგმაში შეტანილი იყო ამოცანები და აქტივობები.

ექსპერტის განცხადებით, პროგრამა ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი და მოთხოვნადი იყო, ვინაიდან საქართველოში საერთაშორისო შეთანხმებებით შრომის უსაფრთხოების სტანდარტების დანერგვისა და ეფექტური შრომის ინსპექციის ამოქმედება სავალდებულოა და ქვეყანაში მოქმედი ყველა საჯარო თუ კერძო დაწესებულება კანონმდებლობის თანახმად ვალდებულია ჰყავდეს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გარემოსდაცვითი ასპექტების გათვალისწინებაც მოთხოვნილია ყველა საწარმოსა თუ დაწესებულების ფუნქციონირებისას. მისი თქმით, დასაბუთებისას, კოლეჯის მიერ ხაზგასმული იყო, რომ კვლევების მიერ გამოკვეთილი იყო ორივე მიმართულებით კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, რაც შესაბამისობაში იყო რეალურ მდგომარეობასთან. აქედან გამომდინარე, დაწესებულების მიერ პროგრამის დამატების მიზანშეწონილობა ნათლად და არგუმენტირებულად იყო დასაბუთებული და შეესაბამებოდა აკადემიის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები სრულ შესაბამისობაში იყო საგანმანათლებლო სტანდარტთან. აკადემიას შემუშავებული ჰქონდა „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი, რომლის მე-5 თავი ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას და მოიცავდა შემდეგ კრიტერიუმებს: სასწავლო გარემოს გამტარუნარიანობას (A, B, C სასწავლო გარემოს მიხედვით), პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის საკმარისობას (პროფესიული განათლების მასწავლებლების მიხედვით) და პრაქტიკის ობიექტზე ხელშეკრულებით განსაზღვრული სტუდენტების რაოდენობას (პრაქტიკის ობიექტების მიხედვით). აკადემიამ ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიიდან გამომდინარე წარმოადგინა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება, რომლის შესაბამისად განისაზღვრა 120 პროფესიული სტუდენტი.

ექსპერტის განცხადებით, „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად აკადემიას გამოყოფილი ჰქონდა A, B და C სასწავლო გარემო, რომლებიც აღჭურვილი იყო სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი რესურსებით. კერძოდ, 2 A სასწავლო გარემო (30-30 პროფესიული სტუდენტისთვის), 3 B სასწავლო გარემო (30-30 პროფესიული სტუდენტისთვის) და C სასწავლო გარემო, ღია სივრცე, რომელიც მოწყობილი იყო აკადემიის ეზოში. მისი თქმით, სივრცე აღჭურვილი იყო სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსით. აკადემიას საწარმოო პრაქტიკის მოდულის განსახორციელებლად ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული პრაქტიკის 5 ობიექტთან. დაწესებულებას პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები რელევანტურად ჰქონდა განსაზღვრული პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად. ავტორიზაციის ექსპერტთა შეფასებით აკადემიაში ხორციელდებოდა პროგრამის შედეგების შეფასება/ცვლილებები (საჭიროების შემთხვევაში) „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის“ შესაბამისად. პროფესიულ საგანმანთლებლო პროგრამას “შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ სულ განახორციელებდა 33 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის პროფესიულ დარგობრივ მოდულებს განახორციელებს 17 პროფესიული მასწავლებელი, რომელთა რაოდენობა მათი დატვირთვისა და განსახორციელებელი მოდულების რაოდენობის მიხედვით საკმარისი იყო. კერძოდ, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა არ ეწინააღმდეგება „საქართველოს შრომის კოდექსს“ და არ აღემატებოდა კვირაში 40 საათს. პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომი იყო ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენებოდა სასწავლო პროცესში. სსსმ პირებს წვდომა ჰქონდათ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იყო სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. ექსპერტთა შეფასებით, აკადემიის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილი იყო „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა საკუთარი პოზიცია განხილულ საკითხთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებსა და საბჭოს წევრებს პროფესიონალიზმისთვის და აღნიშნა, რომ წლებმა და გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ვერანაირი პროგრამა ვერ იქნებოდა ჯანსაღი, განხორციელებადი და წარმატებული, თუ კოლეჯს არ ჰყავდა კარგი მასწავლებელი და არ აქვს კარგი პრაქტიკის ობიექტი. მისი თქმით, დაწესებულებამ შეგნებულად შეარჩია სხვადასხვა მიმართულების პარტნიორი დაწესებულებები, ვინაიდან აქ საუბარი იყო რისკების შეფასებაზე და მის სწორ იდენტიფიცირებაზე. მისი თქმით, გუდვილი იყო მათი პარტნიორი შრომის უსაფრთხოების პრაქტიკის კომპონენტში, ასევე, კოლეჯი ამაყობდა იმით, რომ მათ მიერ მომზადებული პროფესიული მასწავლებლები გახდა შრომის სამინისტროს მიერ აკრედიტებული პროგრამის განმახორციელებელი სერტიფიცირებული პირები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. საბჭოს წევრებს განხილულ საკითხთან დაკავშირებით არ ჰქონდათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიისთვის - SBA „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ე მუხლის შესაბამისად,შპს “საქართველოს ბიზნესის აკადემიას - SBA“ (ს/კ: 406037550) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა **(დანართი 3).**

საბჭოს წევრმა ხათუნა ჩხარტიშვილმა დატოვა საბჭოს სხდომა.

მეოთხე საკითხი: სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების „პიანისტ-აკომპანიატორი“ და „მუსიკის რეპეტიტორი“ მონიტორინგის შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვით აცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვით აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენლებს, იცნობდნენ თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა

სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, დაეფიქსირებინათ თავიანთი მოსაზრებები განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მარიამ აბელიანი მიესალმა დამსწრე პირებს და საუბარი დაიწყო ვიზიტის საერთო მიმოხილვით.

მისი განცხადებით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის 2023 წლის 22 მარტის MES 9 23 0000329627 ბრძანების საფუძველზე, შექმნილ ექსპერტთა ჯგუფს დაევალა საგანმანათლებლო პროგრამების „პიანისტ-აკომპანიატორის“ და „მუსიკის რეპეტიტორის“ ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის ბ.ბ კომპონენტის შესრულების შემოწმების მიზნით, მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე, სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში, 2023 წლის 4 აპრილს. სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში (შემდგომში „კოლეჯი“ ან „დაწესებულება“ ან დასახელება სრულად) ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ზემოხსენებულ ბრძანებას, კოლეჯის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას, კოლეჯში განხორციელებული ბოლო ვიზიტის დასკვნასა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს საოქმო გადაწყვეტილებას. ვიზიტამდე შედგა ექსპერტთა ჯგუფის სამუშაო შეხვედრა, განისაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, შედგა ადმინისტრაციული წარმოების ვიზიტის დღის წესრიგი (იხ. დანართი #1), რომელიც გადაეგზავნა დაწესებულებას და რომლის შესაბამისადაც განხორციელდა ვიზიტი. ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მიერ განხორციელდა ადგილზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა, შეხვედრები დაწესებულების ადმინისტრაციულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, პროფესიულ მასწავლებლებთან დათვალიერდა გარემო და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნათა გათვალისწინებით, ქვესტანდარტის შეფასებისას, ექსპერტთა ჯგუფის მიერ უპირატესად ყურადღება გამახვილდა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების ფაქტებზე და მიმდინარე სამუშაო პროცესებზე.

ექსპერტმა დასაწყისშივე აღნიშნა, რომ სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი განხორციელებული მონიტორინგის დროს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებზე „პიანისტ-აკომპანიატორი“ და „მუსიკის რეპეტიტორი“ ხარვეზი არ დაფიქსირებულა და არც რეკომენდაციები გაცემულა.

წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა

კოლეჯში 2022 წლის 11,12,13 ოქტომბერს განხორციელდა რეავტორიზაციის ვიზიტი, რა დროსაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მეორე სტანდარტის ფარგლებში, გაიცა გარკვეული რეკომენდაციები, მათ შორის:

ინდიკატორი 2.1.1.1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამების დამატების შესახებ მიზანშეწონილობის დოკუმენტი არის ზოგადი ხასიათის, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტში, მკაფიოდ გამოიკვეთოს პროგრამის განხორციელების საჭიროება და ასახოს ჩატარებული კვლევის შესახებ ინფორმაცია, დატანილი იქნას კვლევის მიზანი, სამიზნე ჯგუფი,

განხორციელების პერიოდი, გამოყენებული მეთოდები/ინსტრუმენტი, კვლევაში მონაწილეთა რაოდენობა და ჩატარებული კვლევების კონკრეტული შედეგები - სტატისტიკური მონაცემები/ინფორმაცია. ასევე, პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობა ითვალისწინებდეს ისეთი კომპონენტების შესწავლას, როგორიცაა: კონცეპტუალური, რესურსული, ეკონომიკური, სამართლებრივი, ოპერაციული მიზანშეწონილობა. ზემოაღნიშნული კოლეჯს დაეხმარება როგორც არსებული პროგრამების განხორციელების მიზანშეწონილობის შესწავლის, ისე სამომავლოდ პროგრამების განხორციელების დაგეგმვისას. რეკომენდაციის შესრულების მიზნით, დაწესებულებამ შეიმუშავა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი - „სსიპ ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების მიზანშეწონილობის დასაბუთების მეთოდოლოგია.“ დოკუმენტში აღწერილია, თუ რა ინფორმაციას უნდა მოიცავდეს მიზანშეწონილობა, მათ შორის, აღნიშნულია კონცეპტუალური, რესურსული, ეკონომიკური, სამართლებრივი და ოპერაციული მიზანშეწონილობის განსაზღვრის საჭიროება და მნიშვნელობა დაწესებულების მიერ, პროგრამების დამატების დაგეგმვის ეტაპზე. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, სწორედ ამ მეთოდოლოგიით იხელმძღვანელებენ ახალი თუ უკვე არსებული პროგრამების მიზანშეწონილობის განსაზღვრისას.

ინდიკატორი 2.2.1.3. „პიანისტ-აკომპანიატორის“ და „მუსიკის რეპეტიტორის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების მოდულში „გაცნობითი პრაქტიკა სამუსიკო ხელოვნებაში“ განმახორციელებელ პირად განსაზღვრულია არაკვალიფიციური პირი (იურისტი), მაშინ როცა დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად, პროგრამის განხორციელების უფლება აქვს პირს, რომელსაც აქვს შესაბამისი უმაღლესი განათლება ან შესაბამისი პროფესიით მუშაობის მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება. შედეგად დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნული მოდულის განმახორციელებლად განსაზღვრონ კვალიფიციური პირი - რეკომენდაციის შესრულების მიზნით, კოლეჯმა გააფორმა ხელშეკრულებები შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიულ მასწავლებლებთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების - „მუსიკის რეპეტიტორი“ და „პიანისტ-აკომპანიატორი“ - განმახორციელებლის დანართებში შეიტანა ცვლილება.

ინდიკატორი 2.3.1.1. დირექტორის მოადგილე ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ახორციელებს პროგრამის დაგეგმვა/შემუშავებას, სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობას და პროგრამებში ცვლილებების ინიცირებას, ანუ არის როგორც შემსრულებელი, ასევე მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირიც, რაც ქმნის ინტერესთა კონფლიქტს, შესაბამისად ის ვერ განახორციელებს პროგრამების ობიექტურად შეფასებას და განვითარებას. შესაბამისად, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციებში აღმოიფხვრას ინტერესთა კონფლიქტი - რეკომენდაციის შესრულების მიზნით, დაწესებულებამ გადაამუშავა ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობები. ამ უკანასკნელს ჩამოშორდა ყველა ის ფუნქცია და იმ პროცესში მონაწილეობა, რომელიც იწვევდა ინტერესთა კონფლიქტს. ამ ეტაპზე, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ფუნქციები მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შეფასება, მონიტორინგი, რეკომენდაციების შემუშავება, რაც საერთო ჯამში აერთიანებს ხარისხის მართვის ციკლს: დაგეგმვა-განხორციელება-შეფასება-გადახედვა/გაუმჯობესება.

ინდიკატორი 2.4.2.1. დაწესებულების პროფესიული სტუდენტის შეფასების წესი არ მოიცავს ინფორმაციას: პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობის, განმეორებითი შეფასების და შედეგების გასაჩივრების ვადებთან დაკავშირებით, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ მარეგულირებლით განისაზღვროს სტუდენტთა შეფასების, განმეორებითი

შეფასების, შედეგების გასაჩივრებისა და შეფასების შედეგების გაცნობის ვადებთან დაკავშირებით - რეკომენდაციის შესრულების მიზნით, დაწესებულებამ „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესში“ დააზუსტა პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობის, განმეორებითი შეფასების და შედეგების გასაჩივრების ვადები.

ინდიკატორი 2.4.2.3. დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული და დამტკიცებული შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების აღრიცხვის წესი, ფაქტობრივი გადამოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ არ ხორციელდება მათი აღრიცხვა. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, რომ შეიმუშაოს შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების აღრიცხვის წესი და ამის შესაბამისად განახორციელოს მათი აღრიცხვა - რეკომენდაციის შესრულების მიზნით, დაწესებულებამ „პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების წესში“ შეიტანა ინფორმაცია მტკიცებულებების აღრიცხვის ჟურნალის წარმოებაზე, ასევე გაწერა მოთხოვნები მტკიცებულებების მიმართ. დაწესებულებამ დაიწყო ზემოაღნიშნული ჟურნალის წარმოებაც და მტკიცებულებების აღრიცხვა მის მიერვე შემუშავებული წესის თანახმად.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მუსიკის რეპეტიტორი“

ექსპერტის განცხადებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იყო დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; დაწესებულება განხორციელებდა ადგილზე (ქ. გორი, სამეფოს #17) თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას, რისთვისაც ჰქონდა A, B და C სასწავლო გარემოები. 1 B ტიპის აუდიტორია (8 პროფესიულ სტუდენტზე), 13 A ტიპის აუდიტორია (8 პროფესიულ სტუდენტზე). დაწესებულებას გამოყოფილი ჰქონდა, ასევე 4 C გარემო, დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტი, რომელიც განკუთვნილი იყო როგორც ჯგუფური ისე ინდივიდუალური მეცადინეობებისთვის. A გარემოში განთავსებული იყო - მაგიდა და სკამი 8 პროფესიული სტუდენტებისთვის, დაფა, პრინტერი, პროექტორი, პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის მაგიდა, სკამი, კომპიუტერი. B გარემოში განთავსებული იყო მაგიდა, სკამი და კომპიუტერების კომპლექტი 8 პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის იყო მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, დაფა, პრინტერი, პროექტორი. C გარემოში განთავსებული იყო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფდა პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის მიზნებისთვის კოლეჯს გამოყოფილი ჰქონდა 14 როიალი, 7 პიანინო, ვიოლინო, ჩელო, კონტრაბასი, არფა და 3 სასულე ინსტრუმენტი.

ექსპერტის განცხადებით, დაწესებულებამ წარმოადგინა არსებული მატერიალური რესურსის დამადასტურებელი შესყიდვის დოკუმენტები და მიღება-ჩაბარებისაქტები. პროგრამაზე ჯამური ქვოტა შეადგენდა 32-ს. წელიწადში კოლეჯი გეგმავდა 16 პროფესიული სტუდენტის მიღებას 2 ჯგუფად,თითოეულ ჯგუფში 8 პროფესიული სტუდენტის ოდენობით.მოდულის - „საწარმოო პრაქტიკა“ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა იურიდიული დოკუმენტიმემორანდუმის სახით ა(ა)იპ- გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა დატურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოებთან. გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტომ კოლეჯისსტუდენტებისთვის პრაქტიკული კომპონენტის გასავლელად შეარჩია ქალაქ გორის #3 (გორგასლის ქუჩა #6) და #10 (სოხუმის ქუჩა #5)სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებები, ხოლო გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარებისხელშეწყობის სააგენტომ - გორის ვანო მურადელის სახელობის სამუსიკო სკოლა (სამეფოს ქუჩა #22). მემორანდუმების თანახმად,სააგენტოები

უზრუნველყოფდნენ პრაქტიკის ობიექტებზე სტუდენტების პრაქტიკული სწავლების ხელშეწყობას. თითოეულ ობიექტსშეეძლო მიეღო 8 პროფესიული სტუდენტი. ვიზიტის ფარგლებში, განხორციელდა ინტერვიუ „მუსიკის რეპეტიტორისა“ და „პიანისტ-აკომპანიატორის“ საგანმანათლებლოპროგრამების 2021 და 2022 წლების მიღების პროფესიულ სტუდენტებთანაც (სულ 12), რესურსებზე წვდომის კონტექსტში. მისი თქმით, სტუდენტებმააღნიშნეს, რომ კმაყოფილები იყვნენ კოლეჯში არსებული მატერიალური რესურსით და ტექნიკური ბაზით. ასევე, დაადასტურეს, რომპროგრამაში მითითებული მატერიალური რესურსები სრულიად ხელმისაწვდომი იყო მათთვის.კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „მუსიკის რეპეტიტორი“ განხორციელებაში ჩართული იყო - 19 პროფესიულიგანათლების მასწავლებელი. მათ შორის, ზოგადი მოდულები - 3 პროფესიული განათლების მასწავლებელი და დარგის - 16 პროფესიულიგანათლების მასწავლებელი. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიულიგანათლების მასწავლებელს ჰქონდა პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასებისკომპეტენცია. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებულისაგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომი იყო ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით დაგამოიყენებოდა სასწავლო პროცესში . სსსმ პირებს წვდომა ჰქონდათ პროგრამითგათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იყოსსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. დაწესებულების ფინანსური რესურსითუზრუნველყოფილი იყო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: პიანისტ-აკომპანიატორი

ექსპერტის განცხადებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილი იყო დაწესებულებისა და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით; დაწესებულება განხორციელებდა ადგილზე (ქ. გორი, სამეფოს #17) თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას, რისთვისაც ჰქონდაA, B და C სასწავლო გარემოები. 1 B ტიპის აუდიტორია (8 პროფესიულ სტუდენტზე), 13 A ტიპის აუდიტორია (8 პროფესიულ სტუდენტზე).დაწესებულებას გამოყოფილი აქვს, ასევე 4 C გარემო, დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი კაბინეტი, რომელიც განკუთვნილი იყო როგორცჯგუფური ისე ინდივიდუალური მეცადინეობებისთვის.A გარემოში განთავსებული იყო - მაგიდა და სკამი 8 პროფესიული სტუდენტებისთვის, დაფა, პრინტერი, პროექტორი, პროფესიულიგანათლების მასწავლებლისთვის მაგიდა, სკამი, კომპიუტერი.B გარემოში განთავსებული იყო მაგიდა, სკამი და კომპიუტერების კომპლექტი 8 პროფესიული სტუდენტებისთვის. პროფესიულიგანათლების მასწავლებლისთვის იყო მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, დაფა, პრინტერი, პროექტორი.C გარემოში განთავსებული იყო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფდა პროგრამის სპეციფიკითგათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის მიზნებისთვის კოლეჯს გამოყოფილი ჰქონდა 14 როიალი, 7 პიანინო,ვიოლინო, ჩელო, კონტრაბასი, არფა და 3 სასულე ინსტრუმენტი.დაწესებულებამ წარმოადგინა არსებული მატერიალური რესურსის დამადასტურებელი შესყიდვის დოკუმენტები და მიღება-ჩაბარებისაქტები. პროგრამაზე ჯამური ქვოტა შეადგენდა 48-ს. წელიწადში კოლეჯი გეგმავდა 16 პროფესიული სტუდენტის მიღებას 2 ჯგუფად,თითოეულ ჯგუფში 8 პროფესიული სტუდენტის ოდენობით.მოდულის - „საწარმოო პრაქტიკა“ განხორციელების მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა იურიდიული დოკუმენტიმემორანდუმის სახით ა(ა)იპ-გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდისა და ა(ა)იპ გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა დატურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტოებთან.

ექსპერტის განცხადებით, კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის - „პიანისტ-აკომპანიატორი“ განხორციელებაში ჩართული იყო - 18 პროფესიულიგანათლების მასწავლებელი. მათ შორის ზოგადი მოდულები - 3 პროფესიული განათლების მასწავლებელი და დარგის - 15 პროფესიულიგანათლების მასწავლებელი. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიულიგანათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფდა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. ვიზიტის ფარგლებში, ასევე განხორციელდა გასაუბრება პროფესიული განათლების მასწავლებლებთან (სულ 10), მათ შორის მოდულის -„გაცნობითი პრაქტიკა - პიანისტ-აკომპანიატორი“ მასწავლებელთან. დადგინდა, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელპირებს ჰქონდათ პროფესიული კომპეტენცია. სსსმ პირებს წვდომა ჰქონდათ პროგრამითგათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იყოსსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. დაწესებულების ფინანსური რესურსითუზრუნველყოფილი იყო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით და აღნიშნა, რომ დასკვნაში წარმოდგენილ ცხრილში აქტიური სტუდენტების რაოდენობა იყო ძალიან ცოტა და ხომ არ განუხილავს აღნიშნული საკითხი დაწესებულებასთან.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ამჟამად არსებობდა სპეციალობის მხოლოდ ერთი სტანდარტი ორი კონცენტრაციით. კოლეჯს უნდოდა დამატება პროგრამების, მაგრამ როგორც ცნობილი იყო, კულტურის სამინისტრო ახორციელებდა სამუსიკო განათლების რეფორმას, აღნიშნულის შესახებ იმართებოდა შეხვედრები, რომელსაც კოლეჯიც ესწრებოდა. მისი თქმით, დაწესებულება ელოდებოდა ახალი შედეგების გამოტანას. რაც შეეხება დაბალ დაინტერესებას, აღნიშნული განპირობებული იყო დაბალი ანაზღაურებით, იგივე მდგომარეობა იყო კონსერვატორიის ზოგიერთ სპეციალობაზე. კოლეჯი ცდილობს დააინტერესოს სტუდენტები, ამისათვის დაგეგმილი იყო რაიონებში შეხვედრები. აღსანიშნავი იყო, რომ ზრდასრულ პირებში მოთხოვნა უფრო მაღალი იყო, იქედან გამომდინარე, რომ საბავშვო ბაღებში, სამუსიკო სკოლებში იწყებოდა ავტორიზაცია და მუშაობდნენ ადამიანები, რომლებსაც საერთოდ არ ჰქონდათ სამუსიკო განათლება

საბჭოს თავმჯდომარის განცხადებით, საბჭო მიზანშეწონილად თვლის მიმართოს სამუსიკო განათლების სისტემის რეფორმაში ჩართულ შესაბამის ინსტიტუციებს, რომ გაითვალისწინონ პროფესიული განათლება ამ სისტემის ნაწილად, რაც ხელს შეუწყობს ამ სფეროს განვითარებას, შექმნის ახალ შესაძლებლობებს, თუნდაც ინტეგრირებული პროგრამების დანერგვით ამ სფეროში. საშუალებას მისცემს სტუდენტებს, განაგრძონ სწავლა კონსერვატორიაში და მიაღწიონ დასახულ მიზანს. თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულებას რეკომენდაციის სახით, რომ ნუ დაელოდებიან რეფორმებს, რომელსაც საკმაოდ დიდი დრო მიაქვს და იმოქმედონ აქტიურად იმისთვის, რომ მოიზიდონ და დააინტერესონ მეტი სტუდენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ჰქონდათ თუ არა კითხვები განხილულ საკითხებთან დაკავშირებით . საბჭოს წევრებს განხილულ საკითხთან მიმართებაში არ ჰქონდათ შეკითხვები

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის საგანმანათლებლო პროგრამების „პიანისტ-აკომპანიატორი“ და „მუსიკის რეპეტიტორი“ მონიტორინგის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე: 9
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება სსიპ - ქ. გორში „სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯში“ (ს/კ:218083302) საგანმანათლებლო პროგრამების „პიანისტ-აკომპანიატორი“ და „მუსიკის რეპეტიტორი“ განხორციელებულ მონიტორინგთან დაკავშირებით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულდა 17:50 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჯაფარიძე შორენა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქუჩულორია მარიამ

დანართი 1

პროგრამის სახელწოდება	ანაკრები და მონოლითური კონსტრუქციების მონტაჟი
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამშენებლო კონსტრუქციების მოწყობაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0732
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ბათუმი, ლერმონტოვის ქ.N92 ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	დუალური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	40
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	72
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87

დანართი 2

პროგრამის სახელწოდება	საგემბანე განყოფილების ექსპლუატაცია
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საგემბანე განყოფილების ექსპლუატაციაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1041
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ. ბათუმი, ჯავახიშვილის ქ. N4ა
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	კოოპერაციული
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	192
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	92
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	107

დანართი 3

პროგრამის სახელწოდება	შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0712
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი	ქ.თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18/22
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა	120
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150